საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი

2025 წელი
(წინასწარი)

20.01.2026
www.geostat.ge

20.01.2026

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე)

2025 წელი

(წინასწარი)

2025 წელს საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 7 291.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11.2 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 46.2 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 12.5 პროცენტით გაიზარდა და 3 367.4 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შესაბამისი მაჩვენებლების განვითარების ტენდენციას 2022-2025 წლებში.

ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2022-2025 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ექსპორტი, სულ ადგილობრივი ექსპორტი

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი 2022-2025 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

**პროცენტით მოცემულია ადგილობრივი ექსპორტის (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წილი მთლიან ექსპორტში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საქართველოდან 2023-2025 წლებში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

საქართველოდან განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტი

		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2023	იანვარი	262 709.3	11.8
	თებერვალი	243 382.7	-25.8
	მარტი	275 331.9	-17.2
	აპრილი	225 154.3	-30.7
	მაისი	247 235.5	-37.0
	ივნისი	251 313.1	-12.2
	ივლისი	259 459.7	-23.6
	აგვისტო	207 880.2	-21.6
	სექტემბერი	245 825.5	-24.8
	ოქტომბერი	202 369.5	-31.4
	ნოემბერი	207 072.0	-32.0
	დეკემბერი	234 114.0	-21.8

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.01.2026

		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2024	იანვარი	166 968.0	-36.4
	თებერვალი	224 240.8	-7.9
	მარტი	248 338.6	-9.8
	აპრილი	215 615.7	-4.2
	მაისი	241 975.4	-2.1
	ივნისი	287 992.8	14.6
	ივლისი	312 583.6	20.5
	აგვისტო	255 382.7	22.9
	სექტემბერი	232 768.6	-5.3
	ოქტომბერი	340 218.6	68.1
	ნოემბერი	234 211.0	13.1
	დეკემბერი	232 731.0	-0.6
2025*	იანვარი	186 139.1	11.5
	თებერვალი	201 899.8	-10.0
	მარტი	253 214.2	2.0
	აპრილი	252 856.1	17.3
	მაისი	267 254.4	10.4
	ივნისი	312 225.8	8.4
	ივლისი	269 256.4	-13.9
	აგვისტო	271 111.6	6.2
	სექტემბერი	334 825.5	43.8
	ოქტომბერი	292 711.5	-14.0
	ნოემბერი	357 952.7	52.8
	დეკემბერი	367 968.4	58.1

*წინასწარი მონაცემები.

20.01.2026

2025 წელს ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 68.9 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: რუსეთი (700.7 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (301.9 მლნ. აშშ დოლარი) და თურქეთი (298.8 მლნ. აშშ დოლარი).

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში

	2024		2025*		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**2 993 026.8**	**100.0**	**3 367 415.5**	**100.0**	**12.5**
მათ შორის:					
რუსეთი	651 503.6	21.8	700 725.8	20.8	7.6
ჩინეთი	273 433.7	9.1	301 862.2	9.0	10.4
თურქეთი	402 740.8	13.5	298 812.0	8.9	-25.8
ბულგარეთი	122 190.5	4.1	235 107.8	7.0	92.4
სომხეთი	195 616.2	6.5	197 207.1	5.9	0.8
აზერბაიჯანი	141 086.2	4.7	177 897.3	5.3	26.1
აშშ	132 631.0	4.4	106 287.6	3.2	-19.9
შვეიცარია	106 857.7	3.6	106 218.6	3.2	-0.6
იტალია	52 665.6	1.8	103 772.9	3.1	97.0
ყაზახეთი	77 044.0	2.6	91 482.7	2.7	18.7
დანარჩენი ქვეყნები	837 257.4	28.0	1 048 041.7	31.1	25.2

*წინასწარი მონაცემები.

2025 წელს ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 378.9 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 11.3 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები, 266.5 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 7.9 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს სპირტიანი სასმელები 236.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 7.0 პროცენტი).

20.01.2026

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

	2024		2025*		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	ათასი აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**2 993 026.8**	**100.0**	**3 367 415.5**	**100.0**	**12.5**
მათ შორის:					
ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები	237 506.4	7.9	378 900.9	11.3	59.5
ყურძნის ნატურალური ღვინოები	274 721.9	9.2	266 527.8	7.9	-3.0
სპირტიანი სასმელები	250 166.9	8.4	236 785.9	7.0	-5.3
ფეროშენადნობები	321 960.0	10.8	225 813.4	6.7	-29.9
მინერალური და მტკნარი წყლები, შაქრის დანამატების გარეშე	163 699.2	5.5	173 072.8	5.1	5.7
თხილი და სხვა კაკალი	103 819.2	3.5	169 432.3	5.0	63.2
მინერალური და გაზიანი წყლები, შაქრის შემცველობით	137 237.4	4.6	165 480.2	4.9	20.6
აზოტოვანი სასუქები	118 492.3	4.0	130 368.4	3.9	10.0
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	104 699.4	3.5	122 349.2	3.6	16.9
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	93 860.7	3.1	92 368.5	2.7	-1.6
დანარჩენი საქონელი	1 186 863.4	39.7	1 406 316.3	41.8	18.5

*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

- სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";
- სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";
- შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია".

გამოყენებული პირობითი აღნიშვნები:

- \- მოვლენა არ არსებობს;
- * მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას ინფორმაციულ წყაროებში და მეთოდოლოგიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში;
- ... მონაცემები კონფიდენციალურია.
- 0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

შენიშვნა:

1. ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

2. ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა №4) მონაცემებს;

3. ინფორმაცია არ მოიცავს არაორგანიზებულ ვაჭრობას; ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს;

4. საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა და საბაჟო სტატისტიკა განსხვავებულად ახდენს სასაქონლო ნაკადების მოცვას. კერძოდ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არ აისახება დროებითი დიპლომატიური სატრანზიტო და სხვა ანალოგიური სახის ტვირთები.

წინასწარი მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.

საკონტაქტო პირები:

ბადრი კვაჭაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (300)
E-mail: bkvachadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge